ინდივიდუალური სადოქტორო პროგრამის დასახელება: ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ფილოსოფიის დოქტორი ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტში (Ph.D. in Tourism and Hospitality Management).

პროგრამის ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მაია მარგველაშვილი.

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

- **<u>მიზანი:</u>**

  სადოქტორო პროგრამის მთავარი მიზანია ტურიზმის სფეროს ისეთი სპეციალისტების მომზადება, რომლებსაც შესწევთ უნარი შემოქმედებითად შექმნან ახალი ცოდნა, კრიტიკულად გააანალიზონ დაგროვილი იდეები და პასუხისმგებლობით მოეკიდონ ამ ინფორმაციის ტრანსფორმაციასა და გავრცელებას პუბლიკაციების, სწავლებისა და პრაქტიკაში დანერგვის გზით. შემოთავაზებული ინდივიდუალური სადოქტორო პროგრამის მიზანია, მაღალკვალიფიციური მეცნიერის – დოქტორის მომზადება ტურიზმსა და მასპინძლობის მენეჯმენტში.

- **<u>შედეგი:</u>**

ფილოსოფიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტში პრაქტიკულად იქნება ტურიზმის ბიზნესის სფეროს ლიდერი, რომელსაც შეეძლება კრიტიკულად გააანალიზოს დაგროვილი იდეები, პასუხისმგებლობით მოეკიდოს ამ ინფორმაციის ტრანსფორმაციასა და გავრცელებას პუბლიკაციების, სწავლებისა და პრაქტიკაში დანერგვის გზით. მას შეეძლება ცოდნისა და უნარ-ჩვევების სამი ძირითადი ასპექტის განხორციელება: ცოდნისა და უნარ-ჩვევების გენერაცია, კონსერვაცია და ტრანსფორმაცია.

- **<u>დასაქმების სფეროები:</u>**

ფილოსოფიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირები შეძლებენ დაიკავონ პედაგოგიური თანამდებობები, უმაღლესი დონის პოზიციები სამთავრობო სტრუქტურებში, ტურისტულ ორგანიზაციებში, სასტუმროებში, და სხვ.

- **<u>დოქტორანტურაში მიღების წინაპირობები:</u>**

- ასპირანტები და მაძიებლები, რომლებზეც ვრცელდება "დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის შესახებ დადგენილების" გარდამავალი დებულებები;
- მოტივირებული განაცხადი განზრახულობათა შესახებ;
- სამეცნიერო ხელმძღვანელის წერილობითი თანხმობა.

სტატიებზე უარყოფითი რეცენზიის მიღების შემთხვევაში დოქტორანტმა 6 თვის განმავლობაში უნდა გაიაროს სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტით გათვალისწინებული ორი დარგობრივი მოდული (ტურიზმის განვითარების პოლიტიკა და ტურისტული დანიშნულების ადგილების მდგრადი მენეჯმენტი ან საერთაშორისო სასტუმრო და საკურორტო მენეჯმენტი), ხოლო სტატიების 11-14 ქულით შეფასების შემთხვევაში დოქტორანტს ეძლევა 6 თვე ახალი სტატიის მოსამზადებლად